

გადაცემების ანოტაცია

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტში მოცემული გადაცემების ანოტაცია ემსახურება მხოლოდ ამ ანგარიშის შედგენის მომენტისთვის, გასული წლის განმავლობაში გადაცემული გადაცემების მოკლე შინაარსობრივ განმარტებას. ამასთან, კონკრეტული გადაცემების რომელიმე სარედაქციო კატეგორიის დასაბუთების ქვეშ მოქცევა არ გულისხმობს მიმდინარე პერიოდში მსგავსი დასაბუთების ქონას და ამ დასაბუთების ჩარჩოების ფარგლებში გადაცემის სარედაქციო და შემოქმედებითი საქმიანობის ბოჭვითი ხედვით განხილვას. გადაცემებმა მიმდინარე პერიოდში შესაძლოა განიცადოს ცვლილება სარედაქციო დასაბუთებაში, ასევე შინაარსობრივი, ფორმატული თუ სხვა ტიპის ელემენტებში, სარედაქციო გუნდის დამოუკიდებელი, შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

”რუსთავი 2”

გადაცემები

საინფორმაციო გადაცემა “კურიერი”

“კურიერი” საქართველოში ყველაზე ოპერატიული და მაღალრეიტინგული საინფორმაციო პროგრამაა. საინფორმაციო გამოშვება დღეში შვიდჯერ გადის “რუსთავი 2”-ის ეთერში. „კურიერის“ საშუალებით მაყურებელი იგებს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, სპორტულ, კულტურულ სიახლეებს და ამინდის პროგნოზს.

დილის გადაცემა- “დილა მშვიდობისა საქართველო”

“დილა მშვიდობისა საქართველო” წარმოგიდგინთ სხვადასხვა რუბრიკებს, სტუმრებს, სიუჟეტებს, ჩართვებს სხვადასხვა თემატიკაზე, კულტურულ და სპორტულ სიახლეებს, ამინდის პროგნოზს, პრესის მიმოხილვას, რჩევებს და სიახლეებს ჯანსაღი ცხოვრების და მოდის ტენდენციების, ჯანმრთელობისა და სილამაზის, ბავშვისა და ოჯახის მოვლის შესახებ, კულინარიულ რჩევებს და საოჯახო მენიუს, ტექნოლოგიური განვითარებების, ტექნიკისა და მისი მოხმარების წესების შესახებ, რჩევებს ბოტანიკოსისგან, ბალისა და ოთახის მცენარეების მოვლის შესახებ. გადაცემაში ასევე წარმოგიდგინთ ყველასათვის უცნობ ისტორიულ ადგილებს, მოვლენებს, მუზეუმებსა და ისტორიულ სახლებს. გადაცემაში ასევე წარმოდგენილია იუმორისტული ნომრები.

გადაცემა ბიზნესზე- “ბიზნესკურიერი”

გადაცემა ბიზნესზე ქართული ტელევიზიის განვითარებაში ის ახალი მიჯნაა, რომელსაც “ბიზნესკურიერი” ჰქვია. გადაცემაზე მუშაობენ ეკონომიკური განათლების მქონე საუკეთესო ჟურნალისტები და ჟურნალისტური ნიჭის მქონე ბიზნესკოლეების კურსდამთავრებულები. “ბიზნესკურიერის” რედაქცია მიიჩნევს, რომ ბიზნესი საქართველოში აღარ უნდა იყოს ადამიანთა ვიწრო წრის ექსკლუზიური სფერო და ის ყველას უნდა ესმოდეს, ხოლო ვინც ენერგიულია და ნიჭიერი, ის პირად სარგებლობასაც უნდა ნახულობდეს. ამის გამო, ბიზნესსიახლეებს ჩვენ ყველასთვის გასაგები და საინტერესო ფორმით წარმოვადგენთ. გადაცემა სამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეასრულებს:

- 1) ბიზნესში უკვე ჩართულებს მთლიან ბიზნეს-გარემოს დაანახვებს, მიუთითებს მოსალოდნელ ცვლილებებზე და საუკეთესო ბიზნეს-სტრატეგიას უპარნახებს;
- 2) ბიზნესისგან მომორებით მდგომებს აუხსნის, რა პერსპექტივა არსებობს მათთვის ბიზნესში ჩასართავად, რა არის ამისთვის საჭირო და შედეგად, რა პერიოდში რას უნდა ელოდონ.

3) ყველას ერთად აუხსნის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის არსს და მოსალოდნელ შედეგებს, ხოლო მთავრობას დაანახევებს, რა პრობლემები აქვს ბიზნესს და რა რეფორმებია საჭირო

"ბიზნესკურიერი" ყველას გადაცემაა, - ნებისმიერი პროფესიისა და ასაკის ადამიანი უამრავ იდეას იღებს იმის შესახებ, თუ როგორ გაიუმჯობესოს ცხოვრება, როგორ გამოიყენოს საკუთარი პოტენციალი, ცოდნა და გამოცდილება, როგორ იშოვოს და როგორ დახარჯოს ფული.

„ბიზნესკურიერი“ ანალიტიკური ხასიათის, საავტორო გადაცემაა. გადაცემის ავტორი და წამყვანია აკაკი გოგიჩაიშვილი.

„შაბათის კურიერი“ გიორგი გაბუნიასთან ერთად

გიორგი გაბუნიას საავტორო გადაცემა ანალიტიკური ხასიათისაა, კვირისა და დღის მოვლენების საავტორო შეფასებით. გადაცემაში წარმოდგენილია არა მარტო მშრალი ინფორმაცია, არამედ ფაქტების ღრმა ანალიზი სტუმრებთან ერთად. კვირის მთავარი თემების, მთავარი მოქმედი გმირები, შაბათის კურიერის ეთერში აჯამებენ მთავარ მოვლენებს.

ინფორმაციას მაყურებელი იღებს უახლესი სატელევიზიო ტექნოლოგიების გამოყენებით როგორცაა ვირტუალური სტუდია. შაბათის კურიერის ჟურნალისტები კი, მოვლენების ეპიცენტრიდან პირდაპირ ეთერში მაყურებლებს ყველა აქტუალური თემის შესახებ უამბობენ.

„პოსტსკრიპტუმი“ (P.S.)

„პოსტსკრიპტუმი“ ანალიტიკური ხასიათის, საავტორო გადაცემაა. გადაცემის ავტორი და წამყვანია დავით კიკალიშვილი.

გადაცემა „პოსტსკრიპტუმი“ პასუხობს კითხვას - არა მარტო რა მოხდა, არამედ რატომ და რისთვის? კვირის ყველაზე აქტუალური და ცხელი ამბები, ახალი დეტალები და აქამდე უცნობი ფაქტები, ანალიზი და შეფასება, გადაცემის ავტორისეული ხედვით. ყოველკვირეული შემეცნებით-ანალიტიკური პროგრამა კვირას, საღამოს 9 საათზე გადის. საათ-ნახევრის განმავლობაში მაყურებელი გაეცნობა საქართველოში მიმდინარე საინტერესო და აქტუალურ მოვლენებს. ასევე მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან ამბებს, რომლებიც საქართველოს ეხება. P.S. აკმაყოფილებს ყველა თაობისა და ასაკის მაყურებლის ინტერესს, რადგანაც მოიცავს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს. ის დინამიკურია და თანამედროვე.

P.S. უკვე 15 წელია ქართულ სატელევიზიო სივრცეში არსებობს. აქ მუშაობენ, როგორც ყველაზე გამოცდილი და ავტორიტეტული, ასევე ახალგაზრდა და პერსპექტიული ჟურნალისტები. P.S.-ის გუნდი მოწოდებულია იმისათვის, რომ P.S. მაყურებელი ყველაზე ინფორმირებული და კომპეტენტური იყოს.

„არჩევანი“

ყოველ სამშაბათს, 9-საათიანი "კურიერის" დასრულებისთანავე "რუსთავი 2-ის" ეთერშია საზოგადოებრივი-პოლიტიკური თოქშოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად (ავტორი და წამყვანი). აქტუალური პოლიტიკური თემების განხილვა პოლიტიკოსებთან და ანალიტიკოსებთან ერთად.

„განსხვავებული აქცენტები“

განსხვავებული აქცენტები“ არის ანალიტიკური გადაცემა ჟურნალისტური გამოძიების ელემენტებით, რომელიც ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის მაყურებელს საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ამომწურავ ინფორმაციასა და სრულ ანალიზს აწვდის. "განსხვავებული აქცენტები" მაყურებელს ექსკლუზიურ მასალებსა და ინტერვიუებს სთავაზობს.

ყველაფერი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ - ეს არის ის, რასაც "განსხვავებულ აქცენტებში" ყოველ მეორე კვირას, 22:00 საათზე ნახავს მაყურებელი.

გადაცემის ავტორი და წამყვანია ჟურნალისტი ეკა კვესიტაძე.

თოქმოუ "პროფილი"

„პროფილის“ ავტორი და წამყვანია ჟურნალისტი მათა ასათიანი, რომელიც იწვევს სტუმრებს სტუდიაში საინტერესო თემებზე სასაუბროდ.

ყველაზე რეიტინგული არაპოლიტიკური თოქმოუ ქართულ ტელევიზორებში. გადაცემაში კონკრეტული ადამიანების ისტორიას გაიმზობთ. საკუთარი ცხოვრების შესახებ თოქმოუს სტუმრები თავად ყვებიან და სხვა სტუმრებთან ერთად მსჯელობენ კონკრეტულ საკითხებზე, პრობლემებზე. გადაცემაში წარმოდგენილია ავტორისეული შეფასებებიც. ქართული მენტალიტეტისთვის უჩვეულო გულახდილობა, ყველაზე პირადულს გადაცემის გამირები „პროფილს“ ანდობენ. მათი რთული ცხოვრება კი გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ იცვლება.

ცნობილი ადამიანები ახალი რაკურსით და რეალური ამბების უცნობი გამირები, მათი ტკივილითა და სიხარულით. პროფილში ნებისმიერი ასაკის მაცურებელი იზოვის მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ამბავს.

უკვე მე-7 წელი და მე-14 სატელევიზიო სეზონია რაც „პროფილი“ ეთერშია.

თოქმოუ- "ნანუკა ჟორჯოლიანის შოუ"

გადაცემის ავტორი და წამყვანია ჟურნალისტი ნანუკა ჟორჯოლიანი, რომელიც იწვევს სტუმრებს სტუდიაში საინტერესო თემებზე სასაუბროდ და იძლევა საკუთარ ავტორისეულ შეფასებას კონკრეტულ საკითხებზე.

გადაცემაში აქ ყველაფერი არაფორმალური, ბუნებრივი და გულწრფელია. აქ არის ის, რაც რეალურად ხდება! ნანუკა ჟორჯოლიანის ყოველკვირეული, არაპოლიტიკური თოქმოუ - ეს არის გულწრფელი ინტერვიუები, ექსკლუზიური მასალები და მოულოდნელი პრემიერები.

თოქმოუ "სხვა შუადღე"

ყოველ სამუშაო დღეს, 12:30 საათზე "რუსთავი 2" წარმოგიდგენთ ტო-შოუს "სხვა შუადღე". გადაცემაში სტუმრებთან ერთად საუბარია სხვადასხვა თემაზე, მათ შორის და არა მხოლოდ, ჯანსაღ ცხოვრებაზე, მოდისა და სილამაზის ტენდენციებზე, სიახლეებზე, ჯანმრთელობაზე, სპორტზე, კულინარიაზე (ექსპერიმენტები ქართული და მსოფლიო სამზარეულოდან), ხელოვნებაზე, ლიტერატურასა და პოეზიაზე, მუსიკაზე, ქართულ ფოლკლორზე, ავტომოყვარულ მაცურებელს ვაწვდით საინტერესო ინფორმაციასა და რჩევებს, ვსაუბრობთ პრობლემებზე პირად ცხოვრებაში, გამოცდილებებზე, ჩვენს გადაცემაში საუბრები გულახდილია, გადაცემაში კონკრეტული დარგის წარმომადგენელი ექსპერტები და მოწვეული სპეციალისტები საინტერესო რჩევებს აძლევენ მაცურებელს.

გადაცემაში ვსაუბრობთ ყველა თემაზე, ვეხმაურებით საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს მოწვეულ სტუმრებთან ერთად. გადაცემა მზადდება რამდენიმე წამყვანისა და დღის თანაწამყვანების მიერ, მათი ავტორისეული შეფასებებით.

"ნიჭიერი"

„ნიჭიერი“- მსოფლიოში ცნობილი შოუ Got Talent-ის ქართული ანალოგი, რომელმაც ლიცენზია მოიპოვა და ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" ეთერში პირველად 2010 წლის 1 თებერვალს გავიდა. Got Talent ბრიტანული ტელეფორმატია, რომელიც საიმონ კოულის კომპანია SYCO-მ შეიმუშავა. დღესდღეობით შოუს 30-ზე მეტ ქვეყანაში ადევნებენ თვალებს.

„ნიჭიერი“ გასართობი ხასიათის გადაცემაა, რომელიც ორიენტირებულია საქართველოში ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენაზე. პროექტი ნიჭიერი ხელს უწყობს მონაწილეების პროფესიონალურ განვითარებას და ცნობადობის გაზრდას საზოგადოებაში.

«იქს ფაქტორი» (X-factor)

მსოფლიოში პოპულარული მუსიკალური შოუ X Factor-ის ქართული ანალოგი "რუსთავი 2"-ზე 2013 წლის 14 აპრილს გავიდა. „იქს ფაქტორი“ ხელს უწყობს საქართველოში მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანების აღმოჩენას და ხელს უწყობს მონაწილეების პროფესიონალურ განვითარებას, მათი ცნობადობის გაზრდას.

„ექიმები“

„რუსთავი 2“ წარმოგიდგენთ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სამედიცინო შოუს - The Doctors -ის ქართულ ანალოგს!

ოთხი ექიმი ცნობილ სტუმრებთან ერთად ყველასათვის გასაგები ენით მოგვითხრობს სამედიცინო თემებზე, რომელიც ხშირად დატვირთულია გასართობი ხასიათის ელემენტებით, რაც შოუს უფრო ცოცხალსა და დინამიურს ხდის. გადაცემის წამყვანები არიან პროფესიონალი ექიმები, რომლებიც გადაცემაში დასმულ საკითხებზე მოწვეულ სტუმრებთან ერთად იძლევიან საკუთარი პროფესიონალურ და ავტორისეულ შეფასებებს.

უახლოესი ინფორმაცია და სასარგებლო რჩევები ჯანმრთელობის შესახებ მაყურებელს მიეწოდება გასაგები, საინტერესო და სახალისო ფორმით. გადაცემის ერთ-ერთი ნაწილია ”მითი თუ რეალობა”, სადაც ჩვენი ექიმები გვაცნობენ, თუ რა არის სინამდვილეში მავნე და სასარგებლო ჯანმრთელობისათვის. თოქშოუ ”ექიმებში” მაქსიმალურად არის ჩართული აუდიტორიაც.

„ეკი ვლკი“

ეს არის სახალისო გადაცემა უფროსებისთვის! ბავშვური ლოგიკით დაბნეული უფროსები რუსთავი 2-ის ყველაზე მხიარულ და აზარტულ შოუში სახალისო განმარტებათა გამოცნობას შეეცდებიან.

როდისმე გიცდიათ აგეხსნათ ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორცაა: რომანტიკა, შიმშილი, ჩინეთი და ა.შ. გადაცემაში ნახავთ რა თავისუფლად ხსნიან ბავშვები ხშირად უცნობ სიტყვებს. ძალიან საინტერესოა, როგორ ცდილობენ ისინი უფროსების დახმარებას.

ბავშვები უფროსებს სიტყვების გამოცნობაში ეხმარებიან. ისინი მათი გამოცდილების, ემოციის, მიმიკის და ყველა შესაძლო ხერხის გამოყენებით ცდილობენ მიახვედრონ გამოსაცნობი სიტყვა.

ბავშვური ლოგიკით და ფანტაზიით განმარტებული მარტივი სიტყვები ხშირად უფროსებისთვის საკმაოდ რთული ამოსაცნობია.

გადაცემა მხიარული, დინამიკური და აზარტულია. თითოეული სწორად გამოცნობილი სიტყვა შესაბამისი ქულით ფასდება. თამაშის ბოლოს უმაღლესი ქულების მიხედვით ვლინდება ბავშვური ლოგიკის კვირის ექსპერტი.

იუმორისტული თოქშოუ-“ვანო ჯავახიშვილის შოუ“

„ვანოს შოუ“ - ამერიკული იუმორისტული თოქშოუს ქართული ვერსიაა.

გადაცემა შედგება რამდენიმე რუბრიკისგან: იუმორისტული მონოლოგები აქტუალურ თემებზე, უშუალო და იუმორით გაჯერებული საუბარი გადაცემის პოპულარულ სტუმრებთან, იუმორით გაჯერებული მუსიკალური ნომრები და სხვა სახალისო ელემენტები.

”კომედი შოუ“

"The ვანო"ს Show"-ს შემქმნელი ჯგუფი წარმოგიდგენს იუმორისტულ გადაცემას “კომედი შოუ”. ეს ფორმატი ამერიკის შეერთებულ შტატებში 70-იანი წლებიდან არსებობს და უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ტიპის გადაცემაში სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ ჯიმ კერი, სტივი მარტინი, კრის როკი, ედი მერფი, ვილ ფერელი და სხვები.

ეთერში გასვლისთანავე გადაცემამ დიდი პოპულარობა მოიპოვა, ქართულ ტელეზარზე მას უპრეცედენტოდ მაღალი რეიტინგი აქვს. გადაცემას ყველა ასაკის ადამიანი უყურებს.

შოუ შედგება იუმორისტული სკეტჩებისაგან. გადაცემაში წარმოდგენილი იუმორისტული სკეტჩები ასახავს, როგორც პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ მოვლენებს და ეხმაურება საქართველოში თუ მსოფლიოში მიმდინარე აქტიურ მოვლენებს იუმორისტული აქცენტით.

სკეტჩებში იუმორისტული კუთხით და ხედვით არის წარმოდგენილი ქართველების ტიპური დღეები, აგრეთვე ყოველდღიური სცენები ოჯახებში, სამსახურში, სკოლაში, ბაზრობაზე, თეატრში, ტრანსპორტში და მრავალი სხვა.

„ქერის უბანი“

"ქერის უბანი" სატირულ-იუმორისტულ ანიმაციურ სერიალია, რომლის მთავარი გმირებიც არიან ცნობილი პოლიტიკოსები და სხვა ცნობილი ქართველი პირები. გადაცემაში ასევე მონაწილეობენ თავად „რუსთავი 2-ის“ გადაცემებში შექმნილი გმირების ანიმაციური პერსონაჟები. თითოეულ სერიას აქვს დამოუკიდებელი იუმორისტული სიუჟეტი.

„გაცინე და მოიგე“

„გაცინე და მოიგე“ იუმორისტული სახალხო პროექტია, სადაც მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ მსურველს, რომელსაც ჟიურის გაცინების შემთხვევაში ეძლევა შანსი მოიგოს 50-დან 1000 ლარამდე. ჟიური დაკომპლექტებულია „კომედი შოუს“ მსახიობებით.

„სახლი“

„სახლი“ არის რეალური შოუ, რომელიც ასახავს საკუთარი სახლის მშენებლობის ყველა ეტაპს. მაყურებელს აწვდის სრულ ინფორმაციას მშენებლობის პროცესის ფინანსურ, იურიდიულსა და ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით. გადაცემა საინტერესოა იმ მაყურებლისათვის, რომელიც დაინტერესებულია მსგავსი თემატიკით ან გეგმავს მშენებლობას და რემონტს.

გადაცემა სპორტზე- „უეფას ჩემპიონთა ლიგა“

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-სა და უეფას შორის მჭიდრო ურთიერთობა 1999 წლიდან დაიწყო, "რუსთავი 2" უეფას ოფიციალური პარტნიორია. სამაუწყებლო კომპანიის პირდაპირ ეთერში ყოველწლიურად 50-ზე მეტი რეპორტაჟი გადაიცემა.

პირველ ფინალს, რომელიც 1999 წელს ბარსელონაში ნოუ კამპის სტადიონზე გაიმართა და საყოველთაო მოსაზრებით ერთ ერთი საუკეთესო იყო, ლეგენდარული ქართველი კომენტატორი, კოტე მახარაძე უძღვებოდა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" 2-1 დაამარცხა "ბაიერნი". მას შემდეგ სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის პირდაპირი ეთერით ნაჩვენებია 500-ზე მეტი მატჩი. მათ შორის უეფას თასისა და საკონტინენტთაშორისო თასის მატჩები.

ლიგის ძირითადი ტურნირი სექტემბრის შუა რიცხვებში იღებს სტარტს-ფინალი კი მაისის მიწურულს იმართება. სამშაბათსა და ოთხშაბათს პირდაპირი რეპორტაჟები 22:40 წუთზე (ზამთარში 23:40 წუთზე). ასევე ყოველ კვირას "რუსთავი 2"-ის ეთერშია უეფას ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა.

გადაცემა სპორტზე-„სპორტ თაიმი“ („სპორტTIME“)

სპორტული გადაცემა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენებისა და მათი ანალიზის შესახებ.

ინტელექტუალური თამაში-„რა? სად? როდის?“

ინტელექტუალური თამაშის "რა? სად? როდის?" ავტორები არიან ვლადიმერ ვოროშილოვი და ნატალია სტეცენკო. ტელეპროგრამა პირველად 1975 წელს გავიდა სატელევიზიო ეთერში და უკვე 39 წელია ინარჩუნებს მაღალ რეიტინგს და პოპულარობას ყველა ასაკის ტელემყურებელში.

"რა? სად? როდის?" ქართული ვერსია "პროდიუსერული ცენტრი GameTV"-სა და ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის ერთობლივი პროექტია. იგივე ფორმატის პროექტები ეთერში გადის რუსეთის, აშშ-ს, უკრაინის, იტალიის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ყაზახეთის ტელეარხებზე.

თამაშში შეკითხვის დასმა შეუძლია ნებისმიერ ტელემყურებელს.

თამაში-"იბლიანი ბორბალი"

პირველად ქართულ ტელევიზორებში სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2" წარმოგიდგინებთ ამერიკული შოუს "Wheel of Fortune"-ის ("ფორტუნის ბორბალი"), ქართულ ანალოგს სახელწოდებით "იბლიანი ბორბალი".

ეს არის გასართობი, თამაშზე დაფუძნებული შოუ, რომელიც აშშ-ში ტელევიზიით უკვე 29 წელია გადის და "ფორტუნის ბორბალს" მსოფლიოს 42 ქვეყნის წარმომადგენლები ატრიალებენ.

შოუ ყველაზე მაღალრეიტინგულ და გრძელვადიან პროექტად არის მიჩნეული სატელევიზიო ვიქტორინებს შორის. "იბლიანი ბორბალი" მიმზიდველია არა მარტო მრავალფეროვანი მოთამაშეებით, არამედ მუსიკალური და გასართობი შოუს ელემენტების სიუხვით. პროექტის სახალხო ხასიათს განაპირობებს ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობენ არა მარტო თბილისის, არამედ რეგიონის მცხოვრებლებიც. "იბლიანი ბორბალი" მთელ საქართველოს მოიცავს.

თამაშის ძირითადი პრინციპი ეყრდნობა ჩაფიქრებული სიტყვის გამოცნობას.

კულინარიული შოუ- „თეკუნას კულინარიუმი“

„რუსთავი 2“ -ზე წარმოდგენილია ცნობილი შეფ-მზარეულის, თეკუნა გაჩეჩილაძის გასტრონომიული მასტერკლასები.

კულინარიული გადაცემა, სადაც თეკუნა გაუმხელს მაყურებელს უამრავ პროფესიულ საიდუმლოს და ასწავლის როგორ მოამზადონ რესტორნის ხარისხის კერძები სახლის სამზარეულოში - მარტივი, სასარგებლო და გემრიელი.

გადაცემის ავტორი და წამყვანი თეკუნა გაჩეჩილაძე, არის პირველი, ქართველი, საერთაშორისოდ აღიარებული შეფ-მზარეული, რომელმაც გაათანამედროვა ქართული სუფრა და შექმნა ე.წ. "ქართული ფიუჟენი" (Georgian Fusion). მსოფლიოში ავტორიტეტულმა გასტრონომიულმა გამოცემებმა, იგი "ქართული ფიუჟენის დედოფლად" აღიარა.

მან რესტორატორობა საქართველოში ერთ-ერთ პრესტიჟულ პროფესიად აქცია და დაარსა პირველი კულინარიული სკოლა. გადაცემაში წარმოდგენილია ავტორისა და წამყვანის ავტორისეული შეფასებები.

კულინარიული შოუ- „ქეთის სამზარეულო თავგადასავლები“

„ქეთის სამზარეულო თავგადასავლები“ არის კულინარიულ-გასართობი შოუ, სადაც თვითნასწავლი, მხიარული და ძალიან კრეატიული კულინარი და წარმატებული რესტორატორი ქეთი ბაქრაძე, გეპატიჟებათ თავის სამზარეულოში, საინტერესო სტუმრებთან ერთად, გემოების უსასრულო მოგზაურობაში.

კულინარი დივა, რომელსაც თავისი განსაკუთრებული გემოვნებითი რეცეპტორების საშუალებით, შეუძლია ინგრედიენტებით სავსე კერძში, გამოიცნოს ყოველი გემო, მოახვედრებს მაყურებელს მოულოდნელ გასტრონომიულ თავგადასავლებში. გადაცემაში წარმოდგენილია ავტორისა და წამყვანის, ქეთი ბაქრაძის ავტორისეული შეფასებები.

თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმები

თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმები საქართველოს ისტორიის ყველაზე საინტერესო და დღემდე ტაბუირებულ თემებს ეხება.

პროექტი რუსთავი 2-ზე 2001 წლის იანვრიდან დაიწყო. ფილმებში გამოყენებულია იშვიათი საარქივო მასალა, გასაიდუმლოებული დოკუმენტები, დღემდე გამოუქვეყნებელი ფოტო და ვიდეომასალა.

ფილმების მიმდინარეობისას მაყურებელი საქართველოს ისტორიის ყველზე საინტერესო, დრამატული და საიდუმლოებით მოცული ეპიზოდების მოწმე ხდება.

"ავგისტოს ომი", "ვარდების რევოლუცია", "ილია ჭავჭავაძის მკვლელობა", "1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყება", "მეორე მსოფლიო ომი და ქართველები", "სტალინი, ბერია და მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ", "70-იან წლებში დისიდენტურ მოძრაობასთან ბრძოლა", "სიკვდილით დასჯა საქართველოში", "თბილისი ომი 1991-92 წლებში", "პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიკვდილი", "აფხაზეთის ომი" - ეს ის არასრული ჩამონათვალი, რა თემებზეც ფილმები რუსთავი 2-ის ეთერში მაყურებელმა უკვე ნახა.

დოკუმენტალური მასალა მზადდება თომა ჩაგელიშვილის ავტორობით.

სერიალები

„ჩემი ცოლის დაქალები“

რუსთავი 2” და ”ფორმულა კრეატივი” წარმოგიდგენთ კომედიური ჟანრის სერიალს ”ჩემი ცოლის დაქალები”. ნინა, თინა და კატო ბავშვობის მეგობრები არიან. ისინი ერთ კლასში სწავლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ სამივეს ცხოვრება სხვადასხვანაირად წარიმართა და განსხვავებული შეხედულებები აქვთ, 31 წლის ასაკშიც აგრძელებენ მეგობრობას და საერთო პრობლემებითა თუ სიხარულით ცხოვრებას.

სერიალში წამოწეულია ყველასათვის კარგად ნაცნობი და აქტუალური თემები: რძალ-დედამთილის, დედა-შვილის, სხვადასხვაგვარად განვითარებული კლასელების, ყოფილი მეორე ნახევრების, მეზობლების, ბავშვებისა და დიდების რთული, ხან სასაცილო, ხან კი კონფლიქტური ურთიერთობები. ნაწარმოები სიუჟეტური სახით ეხმაურება ქვეყანაში თუ მსოფლიოში მიმდინარე აქტიურ მოვლენებს.

ტელენოველები და ფილმები

წლის განმავლობაში „რუსთავი 2-ის“ ეთერით გადიოდა უცხოური წარმოების ტელენოველები და ფილმები. „რუსთავი 2“ მაყურებელს ასევე აქტიურად სთავაზობდა ძველ კარგად ნაცნობ და თანამედროვე, ახალ ქართული მხატვრულ ფილმებს.

“კომედი არხი“

გადაცემები

„1 ბექაბაიტი“

ეს არის გადაცემა, რომელიც აგებულია ინტერნეტსივრცეში მოპოვებულ და ხალხის მიერ გამოგზავნილ ვიდეოებზე. წამყვანი აკეთებს სასაცილო კომენტარებს და ორიგინალური ფორმით გადმოგვცემს ზემოთხსენებულ ვიდეოებს.

„ანეკდოტების რვეული“

გადაცემა «ანეკდოტების რვეული» წარმოადგენს მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი და უცნობი ანეკდოტების კრებულს, გათამაშებულს მსახიობების მიერ და დადგმულს პატარა სკეტჩებად. გადაცემას ჰყავს წამყვანი, რომელიც კომენტარს უკეთებს და ზოგჯერ თავადაც ყვება ანეკდოტებს.

„სიცილის ზონა“

იუმორისტული სკეტჩ-შოუ. ორი მუდმივი მოქმედი გმირი ქმნიან და ვარდებიან სხვადასხვა კომიკურ სიტუაციაში.

„ზალიკოს ღამე“

გადაცემა «ზალიკოს ღამე» წარმოადგენს გასართობი ტიპის თოქ შოუს, რომელშიც წამყვანი – ზალიკო ბერგერი, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, საუბრობს სხვადასხვა თემებზე და იუმორისტულად განიხილავს მათ.

„მახე“

ფართული კამერების შოუ, რომელშიც ხვდებიან როგორც ცნობადი სახეები, ასევე უბრალო მოქალაქეები.

„რკინის ლოგიკა“

გადაცემა «რკინის ლოგიკა» წარმოადგენს იუმორისტულ გეიმ შოუს. თამაშში მონაწილეობს ორ-ორი მოთამაშისგან შემდგარი ორი გუნდი. გადაცემას ჰყავს წამყვანი, რომელიც სხვადასხვა ლოგიკურ დავალებებს აძლევს გუნდებს. გამარჯვებულია გუნდი, რომელიც უფრო წარმატებით გაართმევს თავს დავალებას.

„Stand-up show“

«stand up show ნიკა ქავთარაძესთან ერთად» არის იუმორისტული თოქ შოუ. გადაცემის წამყვანი – ნიკა ქავთარაძე დარბაზში დამსწრე საზოგადოებას და ტელემყურებელს სხვადასხვა თემაზე მომზადებულ იუმორისტულ მონოლოგს უკითხავს.

„ტესტი იუმორზე“

ტესტი იუმორზე არის იუმორისტული გადაცემა, რომელშიც გადაცემის მსახიობები, მოწვეულ სტუმარს (ცნობად სახეს), უქმნიან სხვადასხვა სიტუაციებს, ხოლო სტუმარმა იუმორის დახმარებით უნდა დაიძვრინოს თავი მოცემული სიტუაციიდან.

„ქალთა სახეები“

იუმორისტული სკეტჩ-შოუ, რომელშიც ასახულია სხვადასხვა სახალისო სიტუაციები ქალების მონაწილეობით.

„სპარინგ შოუ“

გასართობი ტიპის შოუ, რომელსაც ჰყავს ორი წამყვანი. ერთი წამყვანი სანაძლეოს დებს სტუმართან, ხოლო მეორე წამყვანი მსაჯის ფუნქციას ითავსებს. მოპაექრები ერთმანეთს სხვადასხვა სახალისო თამაშში ეჯიბრებიან.

„მუსიკალური დილაკი“

გადაცემა «მუსიკალური დილაკი» წარმოადგენს გასართობი-მუსიკალური ტიპის გეიმ შოუს. თამაშს ჰყავს ორი წამყვანი და სამი მოთამაშე. წამყვანები სხვადასხვა მუსიკალურ დავალებებს აძლევენ მოთამაშეებს. გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელიც ყველაზე მეტ სწორ პასუხს დააგროვებს.

„კომედი ქიდსი“

ეს არის საქართველოს ტელევიზორებში დღესდღეობით ერთდერთი იუმორისტული პროექტი. რუსულ პროექტ „ერალაშის“ ქართული ანალოგი. პროექტის მონაწილეები არიან ბავშვები, რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა სახალისო სკეტჩებს, რომელთა ძირითადი თემაა სკოლა, მასწავლებლები მშობლები და ა.შ.

„პურიჭამა“

გასართობი ტიპის კულინარიული შოუ, რომელსაც ჰყავს ორი წამყვანი და ერთი მოწვეული სტუმარი. სტუმარი (ცნობადი სახე) წამყვანებთან ერთად ამზადებს მის მიერ შერჩეულ კერძს და მის მომზადებას ასწავლის მაცურებელსაც.

„საქართველოს ფანოლი“

გასართობი ტიპის ვოკალური კონკურსი, რომელშიც კონკურსანტები ქალაქური და რესტორნული ტიპის სიმღერებს ასრულებენ. კვირაში ორჯერ ტარდება კონცერტი, რომლის შემდეგ ჟიურისა და თავად კონკურსანტების გადაწყვეტილებით, კონკურსს ტოვებს ერთი მონაწილე. ბოლოს დარჩება ერთი გამარჯვებული, რომელიც მიიღებს "საქართველოს ფანოლის" წოდებას.

„მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“

გასართობი ტიპის შოუ, რომელშიც სხვადასხვა გუნდები ერთმანეთს იუმორში ეჯიბრებიან. შოუს აქვს ჩემპიონატის პრინციპი, რომლის გამარჯვებულიც ჩემპიონის ტიტულს ატარებს. გამარჯვებულს ავლენს ჟიური.

„კომედი ცოცხალი“

ცოცხალი შოუ. გადაცემა არის აგებული იმპროვიზებულ იუმორზე. საერთოდ დაუდგმელია. გადაცემის მონაწილეები ცდილობენ წამყვანის მიერ მიცემულ უცნაურ და მოულოდნელ დავალებებს თავი გაართვან სხარტად და სასაცილოდ. წამყვანის მიერ მიცემული დავალება შეიძლება იყოს მინიატურა, სკეტჩი, მუსიკალური ნომერი და ა.შ.

„კომედი ჯუნიორი“

„გადაცემა „თქვენი შოუ“. გადაცემა გათვლილია ახალგაზრდა თაობაზე. შოუში იხილავთ მონოლოგებს, სკეტჩებს, მუსიკალურ ნომრებს.

„კომედი ზონა“

მრავალფეროვანი სკეტჩები როგორც სიტუაციებით და შინაარსით, ასევე ტიპაჟების მრავალფეროვნებით. სკეტჩებში მთვარ როლს ასახიერებს ორი მსახიობი, ტრისტან სარალიძე და ზესო ზარათაშვილი.

„კომედი სკეტჩი“

იუმორისტული სკეტში ასახავს, როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ მოვლენებს. სკეტჩებში იუმორისტული კუთხით და ხედვით არის წარმოდგენილი ქართველების ტიპური დღეები, აგრეთვე ყოველდღიური სცენები ოჯახებში, სამსახურში, სკოლაში, ბაზრობაზე, თეატრში, ტრანსპორტში და მრავალი სხვა. არხზე გადის რამდენიმე დასახელება რუბრიკა – კომედი სკეტჩი, კლასიკა, კომედი მუსიკა და კომედი პაროდია.

„მხიარული ვიდეოები“

იუმორისტული სკეტჩ შოუ, რომელშიც უსიტყვოდ არის გადმოცემული იუმორისტული სკეტჩები.

სერიალები

„განყოფილება #9“

იუმორისტულ-დეტექტიური ჟანრის სატელევიზიო სერიალი. ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მეწყვილე პოლიციელი კრიმინალურ დაჯგუფებას დასდევს, რომლის მეთაურიც ყოფილი პოლიციელია.

„ქეთი და კოტე“

პროექტი „ქეთი და კოტე“ , არის სერიალი, რომელიც მოგვითხრობს ცოლ-ქმარზე. სერიალში იუმორისტულად არის აღწერილი მათი ურთიერთობა, სიყვარული, ყოველდღიური ჯახური ურთიერთობა. სერიალს ჰყავს ორი მთავარი გმირი, მაგრამ მრავალფეროვანია სიტუაცია, რომელშიც მათ ვხედავთ: სახლი, სამზარეულო, სალონი, ბაზარი, მაღაზია, სასტუმრო, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ა.შ.

„ნიკა ლიკა“

სერიალი «ნიკა და ლიკა» წარმოადგენს სიტუაციურ კომედიას, რომელის მთავარი პერსონაჟები არიან ცოლ-ქმარი ნიკა და ლიკა. ყოველ სერიაში მოწვეულია საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი, რომელიც სპეციალურად მისთვის შექმნილ პერსონაჟს ასახიერებს.

სერიალი „სამზარეულო“

იუმორისტული სერიალი, რომელშიც მოვლენები ვითარდება მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში. რესტორნის მომსახურე პერსონალი მუდმივად ეხვევიან სხვადასხვა სასაცილო და სასიყვარულო ისტორიებში.

ტელენოველები და ფილმები

წლის განმავლობაში „კომედი არხის“ ეთერით გადიოდა უცხოური წარმოების ტელენოველები და ფილმები. „კომედი არხის“ მაცურებელს ასევე აქტიურად სთავაზობდა ძველ კარგად ნაცნობ და თანამედროვე, ახალ ქართული მხატვრულ ფილმებს.

“მარაო“

გადაცემები

„სიყვარულის ამბავი“

ის, რისი მოსმენაც ქალებს ყველაზე მეტად უყვართ, აინტერესებთ და გულს უჩუყებთ. სიყვარულის ისტორიები – ის, რაც არასდროს არ ხდება ბანალური, არ ხუნდება და არ გწყინდებათ. გადაცემაში მოისმენთ ლეგენდად ქცეული ადამიანების სიყვარულის ისტორიებს; ბუმბერაზი ქართველების პირადი ცხოვრების იმ ინტიმურ დეტალებს, რომელიც არასდროს მოგისმენიათ და ახალი თაობის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავების ხმაურიან სიყვარულის ისტორიებს. ყველაზე სენტიმენტალური და ყოველთვის აქტუალური თემა – სიყვარული მარაოზე „სელფი“

ახალი მოვლენა ქართულ რეალობაში – სელფი ანუ ავტოპორტრეტი ახალ რაკურსში. გადაცემა „სელფი“ წარმოგიდგენთ ქართველი სუპერ-ვარსკვლავების ექსკლუზიურ ავტოპორტრეტებს. ყველაზე ცნობილი ადამიანების ის მხარეები, რომლებიც არ ჩანს სარკეში და ჩანს „სელფში“. ნუ გგონიათ, რომ ამ ადამიანების შესახებ თქვენ ყველაფერი იცით, შეხედეთ მათ „სელფებს“ და გაიცანით თავიდან. ყველაზე ცნობილი ქართველები გადაცემაში „სელფი“ საკუთარ თავსაც განსხვავებულად დაინახავენ.

„დაუპატიებელი სტუმარი“

რა აინტერესებთ ყველაზე მეტად? როგორია საყვარელი მსახიობის სამხარეულო, ყველაზე პოპულარული მომღერლის აბაზანა, ცნობილი ეპატაჟური ქართველი ვარსკვლავის საძინებელი. გსურთ გაიგოთ როგორია თქვენთვის ძალიან ახლობელი, ცნობილი და საყვარელი ვარსკვლავის ჩაის ჭიქა, სახლის ჩუსტები ან თეთრული? ვინ გაბედავს ყველაფერი ეს დაგათვალისწინებინოთ? ქართულ ტელესივრცეში ყველაზე თამამი წამყვანი თიკო სადუნიშვილი, ვარსკვლავური სახლების „დაუპატიებელი სტუმარი“ ხდება. ყველაზე ბრჭყვიალა ვარსკვლავების სახლის კარს თიკო სადუნიშვილი ყოველ კვირას ექსკლუზიურად თქვენთვის მარაო რუსთავი 2-ზე შეაღებს. მას უარს ვერავინ ეუბნება! და ის, რასაც თქვენ ამ გადაცემაში ნახავთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს. ნუ დაუჯერებთ ჭორებს, ნახეთ ყველაფერი თქვენი თვალის და გახდით „დაუპატიებელი სტუმრის“ - თიკო სადუნიშვილის დაპატიებელი მაცურებელი!

„გარდერობი“

მუსიკა, სკანდალები, მოდა და სიყვარული. ყველაზე რეიტინგული ყვითელი ვარსკვლავი, ყველაზე დამაინტრიგებელი გადაცემის წამყვანი. წარმოგიდგენთ გადაცემას „გარდერობი“ – ბრენდები თუ ბაზრობა, ლარი თუ ევრო, ქართველი დიზაინერები თუ ექსკლუზიურად შეკერილი ფეხსაცმელი, ჩანთები, ქუდეები და აქსესუარები – ეს იმ ვარსკვლავების გარდერობია სადაც ნინა შეგახედებთ. თქვენთვის ნაცნობია მათი სატელევიზიო, სასცენო და კინო კოსტიუმები. რას ანიჭებენ უპირატესობას ყველაზე კაშკაშა ქართველი ვარსკვლავები და რა აცვიათ რეალურ ცხოვრებაში. შეიხედეთ ყოველ კვირას, მარაო რუსთავი 2-ზე ნინა წკრილაშვილის „გარდერობში“!

„რეიტინგი“

ყველაზე ცნობილი და მომხიბვლელი მოცეკვავე ოთო ფოლადაშვილი ტელეწამყვანი ხდება და წარმოგიდგენთ ყოველთვის აქტუალურ გადაცემას „რეიტინგი“ – ყველაზე მრავალფეროვანი ნომინაციებითა და ყველაზე წარმოუდგენელი ნომინანტებით! ძალიან ხალისიანი, მხიარული და ძალიან სიმპათიური წამყვანი წარმოგიდგენთ უცნაურ, არაორდინარულ და ექსტრავაგანტურ ტოპ-ათეულებს. სხვადასხვა სფეროს ვარსკვლავებს აქვთ შანსი მოხვდნენ ოთო ფოლადაშვილის „რეიტინგულ“ ნომინაციებში.

„კოქტეილი“

ყველაზე ყვითელი, ყველაზე თამამი, ყველაზე ჭრელი გადაცემა ქართულ ტელესივრცეში. არაორდინალური წამყვანები – ექსტრავაგანტული ნიკა გრიგოლია და სცენის ერთერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მარიტა როხვაძე – ყველა ჭორს თქვენთვის და თქვენთან ერთად გადაამოწმებენ. შოუბიზნესი, პოლიტიკა, სპორტი, კულტურა – ყველა თემა, ყველაზე გახმაურებული ჭორები და ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავები!

მხოლოდ „კოქტილში“ იგებთ სიმართლეს თავად ვარსკვლავებისგან. ახალი ამბების დაიჯესტი - გადაცემა, რომელიც ყველაზე ცნობისმოყვარე მაყურებლისთვის მზადდება!

„ანფასი“

„პროფილის“ შემოქმედებითი გუნდის კიდევ ერთი გამოწვევა. ახალი არაპოლიტიკური თოქ-შოუ მარაოს ეთერში. ყველაზე გულწრფელი რესპონდენტები, ყველაზე გულახდილი ინტერვიუები - ეს „ანფასში“ მოყოლილი ისტორიებია. ის რაზეც აქამდე არსად უსაუბრიათ. თქვენთვის ყველაზე ცნობილი, საყვარელი და საინტერესო ვარსკვლავები თავად გამზობენ თავის ისტორიას. ნახეთ „ანფასში“ ის, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებთ - ქართველი ვარსკვლავების პირადი ისტორიები პირველ პირში. „ანფასში“ არ ჭორაობენ - აქ გულახდილად ყვებიან იმას, რაზეც სხვაგან დუმილს ამჯობინებენ.

ტელენოველები და ფილმები

წლის განმავლობაში „მარაოს“ ეთერით გადიოდა უცხოური წარმოების ტელენოველები და ფილმები. „მარაოს“ მაყურებელს ასევე აქტიურად სთავაზობდა ძველ კარგად ნაცნობ და თანამედროვე, ახალ ქართული მხატვრულ ფილმებს.